3	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტული პროფესიული ამოცანების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება;</li> <li>• პროფესიული ამოცანების შესრულება.</li> </ul>	<p>დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა:</p> <p>პროფესიული მასწავლებელი ლიგანსა ზღვრავს დავალების (დავალებების) დეტალებს.</p>	<p>პროფესიული მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის მიერ <b>დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას</b> დამის შეფასებას.</p>	<p><b>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით შესრულების მტკიცებულება</b></p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიო ჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.</p>

4	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაოს შემოწმებისა და ჩაბარების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება;</li> <li>შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება;</li> <li>შესრულებულის სამუშაოს შესახებ პრეზენტაციის მომზადება.</li> </ul>	<p>დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა:</p> <p>პროფესიული მასწავლებელი (დავალეების) დეტალებს</p>	<p>პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალეების შესრულების პროცესზე დაკვირვებას დამის შეფასებას.</p>	<p><b>პრაქტიკული დავალება და კვირვებით შესრულების მტკიცებულება</b></p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიო ჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.</p>
---	---	---	--	---

### 3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	60	5	10	75
2	40	5	5	50
3	85	5	10	100
4	45	15	15	75
<b>სულ</b>	<b>230</b>	<b>30</b>	<b>40</b>	<b>300</b>

### 3.3. სასწავლო რესურსი

#### პრაქტიკის ობიექტი

თსუ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით ხელმისაწვდომია საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე

**3.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

**მოდულის განმახორციელებლები:**

№	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1	ეკა ჩოხელი	<a href="mailto:e_chokheli@yahoo.com">e_chokheli@yahoo.com</a> ; 571-62 63 20;
2	მურთაზ სვანაძე	<a href="mailto:svanadzemurtaz@gmail.com">svanadzemurtaz@gmail.com</a> ; 577 13 15 03
3	დავით კბილაშვილი	<a href="mailto:datokbilashvili@gmail.com">datokbilashvili@gmail.com</a> ; 595 30 62 19

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

მოდულის სტატუსი: ზოგადი

ქართული ენა A2

სარეგისტრაციო ნომერი: 0110001

## მოდული

### 1. ზოგადი ინფორმაცია:

სარეგისტრაციო ნომერი:

0110001

სახელწოდება:

ქართული ენა A2

გამოქვეყნების თარიღი:

07.03.2016, 02.11.17

მოცულობა კრედიტებში:

15

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

მოდულის აღწერა:

სწავლების დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია:

- ზეპირი კომუნიკაციასახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე (A2);
- სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;
- სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა;
- სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.

2. სტანდარტული ჩანაწერები:

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
1. ზეპირიკომუნიკაციასახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას;</li> <li>2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს;</li> <li>3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>4. მონაწილეობს დიალოგებს ადადისკუსიებში;</li> <li>5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას;</li> <li>6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი;</li> <li>7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას;</li> <li>8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად;</li> <li>9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.</li> </ol>	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	შესრულების მტკიცებულება (1-9)
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს;</li> <li>2. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას;</li> <li>3. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან;</li> <li>4. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.</li> </ol>	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	შესრულების მტკიცებულება (1-4)

<p>3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დამოუკიდებლად დგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით;</li> <li>2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაზიდვის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;</li> <li>3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის;</li> <li>4. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;</li> <li>5. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.</li> </ol>	<p><b>წესები:</b> მართლწერა, პუნქტუაცია, გრამატიკა, სტილის და პარაგრაფირების დაცვა</p>	<p>ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1-5)</p>
<p>4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას;</li> <li>2. სწორად იგებს საუდიალური ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე;</li> <li>3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას;</li> <li>4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას;</li> <li>5. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირების ან ინტერპრეტირების გზით.</li> </ol>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>შესრულების მტკიცებულება (1-5)</p>

**3.დამხმარე ჩანაწერები:**

**3.1. საათები განაწილების სქემა:**

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
1	25	64	16	2	107
2	23	50	20	2	95
3	22	47	28	6	103
4	16	36	16	2	70
<b>სულ:</b>	86	197	80	12	<b>375</b>

**.2. მოდულის განხორციელების მიდგომები:**

სწავლების პროცესში დასახული შედეგების მისაღწევად სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ა) მოსმენა, ბ) კითხვა, გ) წერა, დ) ლაპარაკი, ე) სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება.  
 მოსმენის ეტაპზე გამოიყენება კონკრეტული ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი საშუალო მოცულობისა და სირთულის ავთენტური ტექსტები. შესაფასებელ პირს მოეთხოვება ტექსტის გაგება და მოსმენილი ინფორმაციის გაანალიზება.  
 კითხვის ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ნახევრად ავთენტური, ან ავთენტურს მიმსგავსებული ტექსტების გაგება.

ლაპარაკის უნარის განსავითარებლად საჭიროა საკომუნიკაციო სიტუაციების გამრავალფეროვნება, ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენება, როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

წერის საკომუნიკაციო უნარჩვევათა განსავითარებლად საჭიროა პრაქტიკული სავარჯიშოების, აღწერითი თხრობითი ტექსტების შექმნა (100-150), პირადი კორესპონდენციის წარმოება და სხვა.

სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენების ამოცანაა ყოფითი და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ თემებზე ნებისმიერი სახის ტექსტის შინაარსის გადმოცემა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

სახელმწიფო ენის გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ხდება მის კონტექსტში (და არა კონტექსტიდან მოწყვეტილად) სწავლება. საჭიროა პირს მიეცეს საშუალება დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები. ამისათვის სასურველია: ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული დიდაქტიზებული ტექსტების მეშვეობით, გრამატიკული მასალის სახალისო, ადვილად გასაგებ ზეპირ თუ წერილობით საკომუნიკაციო სიტუაციებში მიწოდება, მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება.

მოდულის გეგმით გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეცადინეობები: როლური თამაშები, პრაქტიკული დავალებების წყვილებში და გუნდებში შესრულება, დისკუსიებისა და პრეზენტაციების ორგანიზება, რისი წარმატებით განხორციელებაც სასწავლო პროცესის სათანადო რესურსულ უზრუნველყოფას მოითხოვს. სასწავლო გარემო (აუდიტორია) იმდაგვარად არის მოწყობილი და სასწავლო ინვენტარიც ისეა განლაგებული, რომ უზრუნველყოფილია შესაფასებელ პირთა თავისუფალი მოხილობა როლური თამაშების, წყვილებსა ან/და გუნდებში მუშაობის შესაძლებლობისათვის.

საკლასო აუდიტორია აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი, აუდიო-ვიდეო საშუალებები), აგრეთვე, საკანცელარიო საქონლით (ფლიპჩარტის დაფა/ქაღალდი; დაფის ფერადი მარკერები; საშლელი და სხვა).

შესაფასებელი პირის მიღწევებისა და სწავლის შედეგების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისათვის მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენება (ასე მაგალითად, წერილობითი გამოკითხვისათვის: ტესტის, კითხვების მრავალი პასუხით, გამოტოვებული სიტყვების ჩასმის, ბადისებრი შეკითხვების, ღია კითხვების, და სხვ.; ზეპირი ფორმით გამოკითხვისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს პირადი ინტერვიუს, ღია შეკითხვის, წაკითხული ან/და მოსმენილი ინფორმაციის შინაარსის ზეპირად გადმოცემისა და სხვა მეთოდი).

**3.3. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები:**

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკა	სწავლების მეთოდები
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური ურთიერთობები</li> <li>• მისალმება, თავაზიანი ფორმები, ინფორმაციის გაცვლა</li> <li>• პირადი ინფორმაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭმელ-სასმელი</li> <li>• ოჯახი და ნათესავები</li> <li>• რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები</li> <li>• ადამიანის გარეგნობა</li> <li>• ყოველდღიური საჭიროების ნივთები</li> <li>• ქვეყნები და წარმომავლობა</li> <li>• დროის განსაზღვრა</li> <li>• დღის რეჟიმი</li> <li>• დროშიდა სივრცეში ორიენტაცია</li> <li>• მგზავრობა-მოგზაურობა</li> <li>• თავისუფალი დრო</li> <li>• ყიდვა-გაყიდვა</li> <li>• მიმოწერის წარმართვა</li> <li>• საქმიანობა და პროფესიები, სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირებული ლექსიკა</li> <li>• სახლი, ბინა, ავეჯი, საოჯახო ნივთები</li> <li>• გარემო</li> <li>• დასახლებული პუნქტები</li> <li>• საბანკო მომსახურება</li> <li>• საქმიანი ვიზიტები, დასვენება, არდადეგები/შვებულება, დღესასწაულები და ზეიმები</li> <li>• გემოვნება/შეფასება</li> <li>• საჭიროება/სურვილი/მოთხოვნილება</li> <li>• გრძნობები/ემოციური რეაქციები/შეგრძნობები</li> <li>• დახმარება ახალ გარემოში</li> <li>• ინსტრუქციები, შეტყობინებები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებები</li> <li>• ტელე/რადიოგადაცემები: საინფორმაციო გადაცემა, რეპორტაჟი ტურისტული მოგზაურობის შესახებ, ინტერვიუ</li> <li>• სიმულირებული სატელეფონო საუბრები</li> <li>• ინტერაქცია საკლასო ოთახში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვა-პასუხი</li> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• როლური და სიტუაციური თამაშები</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება</li> <li>• დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• აუდიო-ვიდეო მასალის განხილვა</li> <li>• თანამშრომლობითი სწავლება</li> <li>• წყვილებში და ჯგუფურადმუშაობა</li> <li>• დისკუსია.</li> </ul>
2	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო სახელმძღვანელოდან ტექსტების წაკითხვა, გააზრება-გაანალიზება</li> <li>• სხვადასხვა წყაროდან (პრესა, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მარტივი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> </ul>

	<p>ტექსტის წაკითხვა და გააზრება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დიაგრამების შემცველი ინსტრუქციების ინტერპრეტაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება, დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• ტექსტზე მუშაობა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიით</li> </ul>
3	<p>სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ტექსტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ</li> <li>• პირადი წერილი</li> <li>• საჯარო განცხადებები</li> <li>• თხზულებები შესწავლილ თემებზე</li> <li>• სიტუაციური დიალოგების აგება</li> <li>• რეზიუმე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება</li> <li>• დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• ლექსიკონზე მუშაობა</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით</li> </ul>
4	<ul style="list-style-type: none"> <li>• სააპლიკაციო ფორმები</li> <li>• სიტუაციურ დიალოგებში მონაწილეობა</li> <li>• დისკუსია პროფესიული საქმიანობის შესახებ მარტივ საკითხებზე სხვა პროფესიულ სტუდენტებთან/შემფასებლებთან</li> <li>• მარტივი ფორმატის პრეზენტაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> <li>• კითხვა-პასუხი</li> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• როლების განაწილება</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება</li> </ul>

### 3.4. სასწავლო გარემოს მოდელი: A1

A გარემოს მატერიალური რესურსი - ინვენტარი, აღჭურვილობა - ქ. ქუთაისი ნიკვას მე-2 შესახვევი N 8, ოთახი № 21

N	დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე
2.	მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	სასწავლო ოთახზე
3.	დემონსტრირების ციფრული საშუალებები	1	სასწავლო ოთახზე
4.	დაფა	1	სასწავლო ოთახზე
5.	კომპიუტერი მასწავლებლისათვის	1	სასწავლო ოთახზე
6.	აუდიო აღჭურვილობა	1	სასწავლო ოთახზე

**ნაწილი 3. მასალები და ნედლეული:**

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	შენიშვნა
1	მარკერი	დაფის	24	ჯგუფზე
2	საშლელი	დაფის	2	ჯგუფზე

### 3.6. მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები:

პროფესიულმა სტუდენტი მოდულთან დაკავშირებული ცოდნა ავლენს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით თსუ-ის აუდიტორიაში.

მტკიცებულებები გროვდება წერილობითი და ზეპირი ფორმით ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს. მოდულის გავლის პროცესში შესაფასებელმა პირმა ყოველი შედეგისათვის უნდა წარმოადგინოს ზეპირი მტკიცებულებები; პრაქტიკული დავალების შესრულების შედეგი - როგორც მტკიცებულება; მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეასრულოს დავალებების და აქტივობების ფართო დიაპაზონი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგებთან. განხორციელებული აქტივობებისა და დავალებების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შედეგად უნარების განვითარებას.

სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში ცალკეული შედეგის შეფასება შესაძლებელია ენობრივი ცოდნისა და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელი შეფასების გზით, რისთვისაც მიზანშეწონილია შემდეგი დავალებების გამოყენება:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ, წარმოადგინე აუდიტორიის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, და მოყევი და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, მოამზადეთ ჯგუფურად სტატია ცნობილიადამიანის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი, დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ, თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა).

სახელმწიფო ენის მოდულის სწავლების შედეგების განმსაზღვრელი შეფასებისათვის მიზანშეწონილია შემაჯამებელ დავალებათა შემდეგი ტიპების გამოყენება:

- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება - გააზრება;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- ზეპირი პრეზენტაცია.

**3.7. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები:**

სწავლის შედეგი	შეფასების მიმართულება		
	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის/ შედეგის შეფასება	გამოკითხვა
1	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		
2	პრაქტიკული დავალება		
3			ტესტი პრაქტიკული დავალება
4	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		

**3.8. ლიტერატურა:**

1. ტეტელოშვილი თ.- აღმართი A1-A2 დონე სახელმძღვანელო, იხ. [http://geofl.ge/#!/page\\_saxelmdzvanelo](http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo)
2. შავთვალაძე ნ. შარაშენიძე ნ. - აღმართი A1-A2 დონე სამუშაო რვეული, იხ. [http://geofl.ge/#!/page\\_saxelmdzvanelo](http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo);
3. ომიაძე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. I - II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. ომიაძე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. სამუშაო რვეული. I- II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;

5. შარაშენიძე ნ., გაბუნია კ., საიმედო + - თბილისი: საიმედო, 2006წ;
6. შარაშენიძე ნ. და სხვ., თავთავი - თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005წ;
7. მხითარაიანი ზ., ქართულ-სომხური ლექსიკონი – თბილისი, 2005წ;
8. მხითარაიანი ზ., სომხურ-ქართული ლექსიკონი – თბილისი: საიმედო, 2005წ;
9. პოსტერი ქართული ენის შესასწავლი (15 პლაკატი) – თბილისი: საიმედო, 2011წ;
10. კვაჭანტირაძე თ., ქართული ენა. DVD დისკების პაკეტი. 2012წ;
11. ხუციშვილი ვ., „საკომუნიკაციო ქართული“, საგამოცდო-განმავითარებელი ტესტები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში-თბილისი, 2012წ;
12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - ვიდეოფილმებზე აგებული დამატებითი სასწავლო მასალები ქართული ენის შემსწავლელთათვის \_ თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013წ.

**3.9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის თსუ -ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევი სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

**მოდულის განმახორციელებელი:**

#	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1	აზა ჯამბურიძე	<a href="mailto:azajamburidze@gmail.com">azajamburidze@gmail.com</a> ; 599-452-850

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

მოდულის სტატუსი: ზოგადი

ქართული ენა B1

სარეგისტრაციო ნომერი: 0110002

## მოდული

1.ზოგადი ინფორმაცია:

სარეგისტრაციო ნომერი:

0110002

სახელწოდება:

ქართული ენა B1

გამოქვეყნების თარიღი:

07.03.2016, 02.11.2017

მოცულობა კრედიტებში:

15

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება  
ქართული ენის ფლობა A2 დონეზე

მოდულის აღწერა:

სწავლების დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია:

- ზეპირკომუნიკაციასახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებსა და საყოფაცხოვრებო თემებზე(B1);
- სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;
- სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა, პირადი კორესპონდენციის წარმოება;
- სახელმწიფოენისპრაქტიკულიგამოყენებაპროფესიასთანდაკავშირებულსაკითხებზეკომუნიკაციისას.

2. სტანდარტული ჩანაწერები:

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
<p>1. ზეპირიკომუნიკაციასახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე და საყოფაცხოვრებო თემებზე;</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას;</li> <li>2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს;</li> <li>3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>4. მონაწილეობს დიალოგებს ადადისკუსიებში;</li> <li>5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას;</li> <li>6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი;</li> <li>7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას;</li> <li>8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად;</li> <li>9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.</li> </ol>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>შესრულების მტკიცებულება (1-9)</p>
<p>2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სათანადოდ განსაზღვრავს კითხვის მიზანსა და გამოსაყენებელ ტექნიკას;</li> <li>2. გარკვევით დაგამართულად კითხულობს სხვადასხვა სახის ტექსტს;</li> <li>3. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას;</li> <li>4. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან;</li> <li>5. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.</li> </ol>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>შესრულების მტკიცებულება (1-5)</p>
<p>3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა, პირადი კორესპონდენციის წარმოება;</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დამოუკიდებლად ადადგენს სხვადასხვა დამიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტს (განცხადება, ბიოგრაფია, სამოტივაციო წერილი, მოკლე მოხსენება...) ელემენტარული წესების დაცვით;</li> <li>2. აყალიბებს მარტივ რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს მისთვის საინტერესო</li> </ol>	<p><b>წესები:</b> მართლწერა, პუნქტუაცია, გრამატიკა, სტილის და პარაგრაფირების დაცვა.</p>	<p>ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1-6)</p>

	<p>და ნაცნობ თემებზე;</p> <p>3. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;</p> <p>4. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის;</p> <p>5. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;</p> <p>6. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.</p>		
<p>4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.</p>	<p>1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინების მნიშვნელობას;</p> <p>2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე;</p> <p>3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას;</p> <p>4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას;</p> <p>5. ამზადებს მოკლე, მარტივ პრეზენტაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე;</p> <p>6. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, რეზიუმირების ან თუნტერპრეტირების გზით.</p>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>შესრულების მტკიცებულება (1-6)</p>

**3. დამხმარე ჩანაწერები:**

**3.1. საათების განაწილების სქემა:**

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული			

		მეცადინეობა			
1	25	64	18	2	109
2	23	50	22	2	97
3	22	48	21	6	97
4	16	36	18	2	72
<b>სულ:</b>	86	198	79	12	<b>375</b>

**3.2** სწავლების პროცესში დასახული შედეგების მისაღწევად სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ა) მოსმენა, ბ) კითხვა, გ) წერა, დ) ლაპარაკი, ე) სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება.

მოსმენის ეტაპზე გამოიყენება კონკრეტული ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი საშუალო მოცულობისა და სირთულის ავთენტური ტექსტები. შესაფასებელ პირს მოეთხოვება ტექსტის გაგება და მოსმენილი ინფორმაციის გაანალიზება.

კითხვის ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ნახევრად ავთენტური, ან ავთენტურს მიმსგავსებული ტექსტების გაგება.

ლაპარაკის უნარის განსავითარებლად საჭიროა საკომუნიკაციო სიტუაციების გამრავალფეროვნება, ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენება, როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

წერის საკომუნიკაციო უნარჩვევათა განსავითარებლად საჭიროა პრაქტიკული სავარჯიშოების, აღწერითი თხრობითი ტექსტების შექმნა (150-200), პირადი კორესპონდენციის წარმოება და სხვა.

სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენების ამოცანაა ყოფითი და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ თემებზე ნებისმიერი სახის ტექსტის შინაარსის გადმოცემა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

სახელმწიფო ენის გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ხდება მის კონტექსტში (და არა კონტექსტიდან მოწყვეტილად) სწავლება. საჭიროა პირს მიეცეს საშუალება დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები. ამისათვის სასურველია: ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული დიდაქტიზებული ტექსტების მეშვეობით, გრამატიკული მასალის სახალისო, ადვილად გასაგებ ზეპირ თუ წერილობით საკომუნიკაციო სიტუაციებში მიწოდება, მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება.

მოდულის გეგმით გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეცადინეობები: როლური თამაშები, პრაქტიკული დავალებების წყვილებში და გუნდებში შესრულება, დისკუსიებისა და პრეზენტაციების ორგანიზება, რისი წარმატებით განხორციელებაც სასწავლო პროცესის სათანადო რესურსულ უზრუნველყოფას მოითხოვს. სასწავლო გარემო (აუდიტორია) იმდაგვარად არის მოწყობილი და სასწავლო ინვენტარიც ისეა განლაგებული, რომ უზრუნველყოფილია შესაფასებელ პირთა თავისუფალი მობილობა როლური თამაშების, წყვილებსა ან/და გუნდებში მუშაობის შესაძლებლობისათვის.

საკლასო აუდიტორია აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი, აუდიო-ვიდეო საშუალებები), აგრეთვე, საკანცელარო საქონლით (ფლიპჩარტის დაფა/ქაღალდი; დაფის ფერადი მარკერები; საშლელი და სხვა).

შესაფასებელი პირის მიღწევებისა და სწავლის შედეგების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისათვის მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენება (ასე მაგალითად, წერილობითი გამოკითხვისათვის: ტესტის, კითხვების მრავალი პასუხით, გამოტოვებული სიტყვების ჩასმის, ბადისებრი

შეკითხვების, ღია კითხვების, და სხვ.; ზეპირი ფორმით გამოკითხვისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს პირადი ინტერვიუს, ღია შეკითხვის, წაკითხული ან/და მოსმენილი ინფორმაციის შინაარსის ზეპირად გადმოცემისა და სხვა მეთოდი).

**3.3. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები:**

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკა	სწავლების მეთოდები
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიოგრაფიული მონაცემები (ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ტაბულარულიბიოგრაფია, ფორმალური ბიოგრაფია, cv)</li> <li>• დასაქმება, სამოტივაციო წერილი, ვაკანსიები, გასაუბრება.</li> <li>• პროფესია. მოთხოვნადი და ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიები</li> <li>• მგზავრობა, ქალაქში ორიენტაცია</li> <li>• მოგზაურობა, მოგზაურთა ტიპები და ტურები</li> <li>• სპორტის სახეობები და მათი კლასიფიკაცია</li> <li>• სპორტი და ჯანმრთელობა</li> <li>• თავისუფალი დრო, ფოტოგრაფია</li> <li>• გართობის ტიპები და სახეობები</li> <li>• სხვადასხვა ტიპის დასახლებული პუნქტები (ქალაქი, სოფელი, დაბა)</li> <li>• ტრანსპორტი და ორიენტაცია სივრცეში</li> <li>• ვაჭრობა და მისი სახეები</li> <li>• საბანკო მომსახურება, განვადება, გადასახადები</li> <li>• ინტერნეტი და სამომხმარებლო ბაზარი</li> <li>• კულინარია, ინგრედიენტები, კვების ობიექტები</li> <li>• ჯანსაღი კვება, ჯანსაღი ცხოვრების წესი</li> <li>• ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დარღვევა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა</li> <li>• სიმულირებული სატელეფონო საუბრები</li> <li>• ინტერაქცია საკლასო ოთახში</li> <li>• როლური თამაშები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> <li>• კითხვა-პასუხი</li> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• როლური და სიტუაციური თამაშები</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება</li> <li>• დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• აუდიო-ვიდეო მასალის განხილვა</li> <li>• თანამშრომლობითი სწავლება</li> <li>• წყვილებში და ჯგუფურადმუშაობა</li> <li>• დისკუსია.</li> </ul>

2	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო და სხვადასხვა პროფესიული სახელმძღვანელოდან ტექსტების წაკითხვა, გააზრება-გაანალიზება</li> <li>• სხვადასხვა წყაროდან (პრესა, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) ტექსტის წაკითხვა და გააზრება</li> <li>• აღწერილობითი ხასიათის ინსტრუქციების წაკითხვა და გაგება</li> <li>• დიაგრამების შემცველი ინსტრუქციების ინტერპრეტაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება, დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• ტექსტზე მუშაობა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიით</li> </ul>
3	<p>სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ტექსტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ</li> <li>• ბიოგრაფია</li> <li>• საქმიანი წერილი</li> <li>• პირადი და საჯარო განცხადებები</li> <li>• თხზულებები შესწავლილ თემებზე</li> <li>• სიტუაციური დიალოგების აგება</li> <li>• CV და რეზიუმე</li> <li>• სამოტივაციო წერილი</li> <li>• მოკლე მოხსენება</li> <li>• მოკლე ანგარიში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება</li> <li>• დამოუკიდებელი დავალება</li> <li>• ლექსიკონზე მუშაობა</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით</li> </ul>
4	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტერმინოლოგიის მოძიება და გაგება ჟურნალების, აუდიო/ვიდეო და ინფორმაციის სხვა წყაროების საშუალებით, რომლებიც პროფესიულ სფეროსთანაა დაკავშირებული</li> <li>• მცირე ესეები პროფესიულ საკითხებზე</li> <li>• სააპლიკაციო ფორმები</li> <li>• დისკუსია პროფესიული საქმიანობის შესახებ სხვა პროფესიულ სტუდენტთან/შემფასებლებთან</li> <li>• პრეზენტაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ</li> <li>• ანგარიში პროფესიულ გარემოში ჩატარებული საქმიანობის შესახებ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია და დემონსტრირება</li> <li>• საკლასო დისკუსია</li> <li>• კითხვა-პასუხი</li> <li>• შემთხვევის შესწავლა</li> <li>• როლების განაწილება</li> <li>• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება დამოუკიდებელი დავალება</li> </ul>

### 3.4. სასწავლო გარემოს მოდელი: A1

A გარემოს მატერიალური რესურსი - ინვენტარი, აღჭურვილობა - ქ. ქუთაისი ნიკვას მე-2 შესახვევი N 8, ოთახი № 21

N	დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე
2.	მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	სასწავლო ოთახზე
3.	დემონსტრირების ციფრული საშუალებები	1	სასწავლო ოთახზე
4.	დაფა	1	სასწავლო ოთახზე
5.	კომპიუტერი მასწავლებლისათვის	1	სასწავლო ოთახზე
6.	აუდიო აღჭურვილობა	1	სასწავლო ოთახზე

**ნაწილი 3. მასალები და ნედლეული:**

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	შენიშვნა
1	მარკერი	დაფის	48	ჯგუფზე
2	საშლელი	დაფის	2	ჯგუფზე

### 3.6. მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები:

რეკომენდებულია პროფესიულმა სტუდენტმა მოდულთან დაკავშირებული ცოდნა გამოავლინოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით სასწავლო აუდიტორიის პირობებში.

მტკიცებულებები გროვდება წერილობითი და ზეპირი ფორმით ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს. მოდულის გავლის პროცესში შესაფასებელმა პირმა ყოველი შედეგისათვის უნდა წარმოადგინოს ზეპირი მტკიცებულებები; პრაქტიკული დავალების შესრულების შედეგი - როგორც მტკიცებულება;

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეასრულოს დავალებების და აქტივობების ფართო დიაპაზონი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგებთან. განხორციელებული აქტივობებისა და დავალებების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შედეგად უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანია პრაქტიკული დავალების მიცემა შესაფასებელ პირთათვის სხვადასხვა პროცესში მათი პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით.

რეკომენდებულია სწავლის პროცესში ურთიერთშეფასების მეთოდების გამოყენება (როლური თამაშების, პრაქტიკული დავალებების შესრულების, წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის წარდგენის დროს).

როლური თამაშების სხვადასხვა ეტაპზე პროფესიულმა სტუდენტმა პრაქტიკული უნარები დგინდება დაკვირვების გზით, დაკვირვების ჩანაწერის მეშვეობით.

სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში ცალკეული შედეგის შეფასება შესაძლებელია ენობრივი ცოდნისა და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელი შეფასების გზით, რისთვისაც მიზანშეწონილია შემდეგი დავალებების გამოყენება:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკურისავარჯიშოები (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლებ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილე როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ, წარმოადგინე აუდიტორიის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, მოამზადეთ ჯგუფურად სტატია ცნობილია დამიანის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი, დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ, თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა).

რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. სახელმწიფო ენის მოდულის სწავლების შედეგების განმსაზღვრელი შეფასებისათვის მიზანშეწონილის შემაჯამებელ დავალებათა შემდეგი ტიპების გამოყენება:

- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება - გააზრება
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ
- ზეპირი პრეზენტაცია.

დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);

- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- ქულები უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს მოდულის ის შედეგ(ებ)ი და შესრულების კრიტერიუმ(ებ)ი, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

**3.7. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები:**

სწავლის შედეგი	შეფასების მიმართულება		
	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის/ შედეგის შეფასება	გამოკითხვა
სწავლის შედეგი 1	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		
სწავლის შედეგი 2	პრაქტიკული დავალება		

სწავლის შედეგი 3			ტესტი პრაქტიკული დავალება
სწავლის შედეგი 4	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		

### 3.8. ლიტერატურა:

1. ტეტელოშვილი თ.- აღმართი A1/A2/B1 დონე სახელმძღვანელო, იხ. [http://geofl.ge/#!/page\\_saxelmdzvanelo](http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo)
2. შავთვალაძე ნ. შარაშენიძე ნ. - აღმართი A1/A2/B1 დონე სამუშაო რვეული, იხ. [http://geofl.ge/#!/page\\_saxelmdzvanelo](http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo);
3. ომიადე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. I - II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. ომიადე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. სამუშაო რვეული. I- II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
5. შარაშენიძე ნ., გაბუნია კ., საიმედო + - თბილისი: საიმედო, 2006წ;
6. შარაშენიძე ნ. და სხვ., თავთავი - თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005წ;
7. მხითარაძე ზ., ქართულ-სომხური ლექსიკონი – თბილისი, 2005წ;
8. მხითარაძე ზ., სომხურ-ქართული ლექსიკონი – თბილისი: საიმედო, 2005წ;
9. პოსტერი ქართული ენის შესასწავლი (15 პლაკატი) – თბილისი: საიმედო, 2011წ;
10. კვაჭანტირაძე თ., ქართული ენა. DVD დისკების პაკეტი. 2012წ;
11. ხუციშვილი ვ., „საკომუნიკაციო ქართული“, საგამოცდო-განმავითარებელი ტესტები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში-თბილისი, 2012წ;
12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - ვიდეოფილმებზე აგებული დამატებითი სასწავლო მასალები ქართული ენის შემსწავლელთათვის \_ თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013წ.

### 3.9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

#### მოდულის განმახორციელებელი:

№	სახელიდაგვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1	აზა ჯამბურიძე	<a href="mailto:azajamburidze@gmail.com">azajamburidze@gmail.com</a> ; 599-452-850